ოქმი:**ო05.37221661**

თარიღი:**15/06/2022**

ოქმი №8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2022 წელი, 14 ივნისი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ე. გორდელაძე, ხ. ცერცვაძე, გ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ლ. ბიგვავა, ბ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი:

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბერის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პ. კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ, პ.კიღურაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები. აღნიშნა, რომ კომისიის ფუნქციაა განსაკუთრებული ყურადღებით განიხილოს ისინი და მოამზადოს დასკვნები რამდენად შეესაბამებიან ისინი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს. კომისიის წევრმა ე. გორდელაძემ

განაცხადა, რომ ისინი სრულად პასუხობენ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს, კომისიის წევრებმა სათითაოდ უყარეს კენჭი დადგენილებების პროექტებს.

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული კომისიის სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი